

[www.hsbc.ge](http://www.hsbc.ge) განთავსებული მომხმარებლის საბანკო ანგარიშების, ანაზრების, ელექტრონული ბანკინგისა და სხვა საბანკო მომსახურების ზოგადი პირობებში („ზოგადი პირობები“) ცვლილებები და დამატებები

შეიცვალოს ზოგადი პირობების 1.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.1 მომხმარებლის საბანკო ანგარიშების, ანაზრების, ელექტრონული ბანკინგისა და სხვა სახის საბანკო მომსახურების აქ მოყვანილი ზოგადი პირობები (შემდგომში “ზოგადი პირობები”) აწესრიგებს ნებისმიერ საბანკო ტრანზაქციას სს ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველოსა (ბანკის, მისი სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამოსილი წარმომადგენლების ჩათვლით) და პირსა/პირებს შორის (შემდგომში “მომხმარებელი”, ნაცვალსახელები “თქვენ”, “თქვენი” აღნიშნავს მომხმარებელს), რომელიც/რომლებიც ხელს აწერენ საბანკო ანგარიშის გახსნის ფორმას ან ბანკის მიერ კონკრეტული მომსახურებისთვის დამტკიცებულ რაიმე სხვა დოკუმენტს. „ეიჩ ეს ბი სი ჯგუფი“ ნიშნავს ეიჩ ეს ბი სი ჰოლდინგს პი ელ სი–ს (HSBC Holdings plc) ან იურიდიულ პირს სადაც დროდადრო (1) ეიჩ ეს ბი სი ჰოლდინგს პი ელ სი (ან მისი ერთი ან მეტი შვილობილი კომპანია) ფლობს ხმის უფლების მქონე წილის ორმოცდაათ პროცენტს (50%) ან მეტს; ან (2) სადაც ეიჩ ეს ბი სი ჰოლდინგს პი ელ სი (ან მისი რომელიმე შვილობილი კომპანია) პირდაპირ ან არაპირდაპირ ახორციელებენ მენეჯმენტის კონტროლს, მიუხედავად იმისა რომ შესაძლოა ფლობდეს ორმოცდაათ პროცენტზე (50%) ნაკლებ წილს.“

შეიცვალოს ზოგადი პირობების 1.5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.5 გაწეული მომსახურებისთვის ბანკი ჩამოაჭრის მომხმარებელს შესაბამის საკომისიოს ამ ზოგად პირობებზე ტარიფების შესაბამისად, რომელიც განთავსებულია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [www.hsbc.ge](http://www.hsbc.ge) და ხელმისაწვდომია ბანკის ფილიალებში. ბანკმა შესაძლოა ცალმხრივად შეცვალოს ტარიფები, რის შესახებაც იგი არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე ატყობინებს მომხმარებელს მედიის საშუალებით, ვებ-გვერდზე ან ბანკის ფილიალებში ინფორმაციის განთავსებით. ზოგადად საკომისიოს ჩამოჭრა ბანკის მიერ ხდება ტრანზაქციის ანგარიშიდან.“

ზოგადი პირობებს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.19 პუნქტი:

„1.19 მომხმარებელს შეუძლია უარი თქვას ბანკის ახალი პროდუქტების ან სერვისების შესახებ მარკეტინგული ლიტერატურის / ინფორმაციის მიღებაზე. ასეთის შესახებ მომხმარებელმა უნდა წერილობით შეატყობინოს ბანკის მარკეტინგის განყოფილებას მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, 0108, რუსთაველის გამზირი #15 და მისი სახელი ნებისმიერი დამატებითი საკომისოს გარეშე ამოიშლება შესაბამისი სიიდან.“

შეიცვალოს ზოგადი პირობების 2.2 და 2.3 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- „2.2 გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: მომხმარებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ბანკის მიმართ დავალიანების მოცულობას, კრედიტის მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, კლიენტის მიერ კრედიტთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, აგრეთვე იგივე ინფორმაციას თავდებებისა და ამ ზოგადი პირობების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფების შესახებ, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში, სასამართლო წარმოებისა და სააღსრულებო პროცედურების შესახებ ინფორმაციას, სხვა ინფორმაციას კლიენტის შესახებ, რასაც მოითხოვს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს მიერ დადგენილი პროცედურები.
- 2.3 მომხმარებელი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას ამ ზოგადი პირობების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს მომხმარებელთან დამატებითი თანხმობის გარეშე გაეცნოს მომხმარებლის საკრედიტო ისტორიას საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს მონაცემთა ბაზაში.“

შეიცვალოს ზოგადი პირობების 3.4 და 3.5 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- „3.4 ბანკი მომხმარებელს მოთხოვნისთანავე გადასცემს ყოველთვიურ ამონაწერს კონკრეტული ტიპის ანგარიშებზე, თუ მომხმარებელთან ასეთი სხვაგვარად არ არის შეთანხმებული. ამონაწერში მითითებული ინფორმაცია წარმოადგენს ანგარიშზე წარმოებული ოპერაციების შესახებ ჯეროვან შეტყობინებას. მომხმარებელი ვალდებულია შეამოწმოს ამონაწერის სიზუსტე და ნებისმიერი უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში შეატყობინოს ბანკს ამონაწერის შედგენიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში. ბანკი არ არის პასუხისმგებელი, საფოსტო შეცდომის, დაკარგვის, მოპარვის გამო მიყენებულ ნებისმიერ ზიანზე და აგრეთვე სხვა ნებისმიერ პრეტენზიაზე, რაც დაკავშირებულია მომხმარებლისათვის გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურებით და მისგან გამოწვეული ინფორმაციის გამჟღავნებით.
- 3.5 ბანკს უფლება აქვს ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება და საკუთარი შეხედულებისამებრ დახუროს 3 (სამი) თვის განმავლობაში ნულოვანი ბალანსის მქონე მომხმარებლის ანგარიშები, ან ანგარიშები რომლებზეც სამი თვის განმავლობაში არ დაფიქსირებულა ბრუნვა (ამ შემთხვევაში ბრუნვად არ ჩაითვლება კრედიტის დაფარვის მიზნით განხორცილებული თანხ(ებ)ის მოძრაობები).“

შეიცვალოს ზოგადი პირობების 3.10 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- „3.10 ბანკი მომხმარებლის საგადახდო დავალებებს მიიღებს ყოველდღე 10:00-დან 18:00-მდე, გარდა შაბათისა, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით

დადგენილი უქმე დღეებისა. დღის განმავლობაში საგადახდო დავალებები შესრულდება შემდეგი პირობების დაცვით:

- 3.10.1 სამუშაო დღის 15:00 საათამდე მიღებული საგადახდო დავალება ეროვნულ ვალუტაში და 17:00 საათამდე მიღებული საგადახდო დავალება უცხოურ ვალუტაში სრულდება იმავე სამუშაო დღეს;
- 3.10.2 სამუშაო დღის 15:00 საათის შემდეგ მიღებული საგადახდო დავალება ეროვნულ ვალუტაში 17:00 საათის შემდეგ მიღებული საგადახდო დავალება უცხოურ ვალუტაში სრულდება შემდეგ სამუშაო დღეს;
- 3.10.3 ჩარიცხვები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში შესრულდება 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

დღის განმავლობაში ნებისმიერ სხვა დროს, გარდა ზემოაღნიშნულისა, მიღებული საგადახდო დავალებები მიღებულად ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღის თარიღით. საგადახდო დავალების შეუსრულებლობის შესახებ მომხმარებელს მიეწოდება ინფორმაცია სიტყვიერად და/ან ამონაწერის ან სხვა საბაკო დოკუმენტების მეშვეობით, როგორც ეს წერილობით არის შეთანხმებული ბანკთან.“

შეიცვალოს ზოგადი პირობების მე-5 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„5. მომხმარებლის ინფორმაცია**

- 5.1 თქვენთვის მომსახურების გაწევის მიზნით ბანკს შესაძლოა დასჭირდეს თქვენს შესახებ ან თქვენი ანგარიშების შესახებ ინფორმაციის (მათ შორის კონფიდენციალური ინფორმაციის) გამჟღავნება, შენახვა ან გადაცემა როგორც ეიჩ ეს ბი სი ჯგუფის ფარგლებში, ასევე მისი აგენტის ან მესამე მხარისათვის. ინფორმაციის ნებისმიერი ასეთი გამჟღავნება, შენახვა ან გადაცემა მოხდება კონფიდენციალურობის დაცვით, ხოლო ჩვენ ვუზრუნველვყოფთ ეიჩ ეს ბი სი ჯგუფის ფარგლებში ამ ინფორმაციის მკაცრ კონფიდენციალურობის დაცვას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც: ა) კანონით ან მარეგულირებელი ნორმებით, ან რომელიმე საჯარო ან მარეგულირებელი უწყების მოთხოვნით სხვაგვარადაა განსაზღვრული; (ბ) როდესაც ინფორმაციის გაცემა აუცილებელია დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით; ან (გ) ინფორმაციის გაცემა აუცილებლად მიგვაჩნია მომხმარებლის დავალების შესასრულებლად. ამასთან, მომხმარებლის მიერ კონფიდენციალურ ინფორმაციის მიწოდება ეიჩ ეს ბი სი ჯგუფის რომელიმე წევრისთვის ავალდებულებს ეიჩ ეს ბი სი ჯგუფის წევრს განახორციელოს კონფიდენციალურობის დაცვა.
- 5.2 ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაცია მკაცრად იქნება დაცული არასანქცირებული ან შემთხვევითი გამჟღავნების, წვდომისა და განადგურებისაგან.“